დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27, 28 და 29 აპრილი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
19 მაისი, 2022 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**404901406**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი თბილისი**
იურიდიული მისამართი	**ფალიაშვილის N42**
ფაქტობრივი მისამართი	**ფალიაშვილის N42**
საფოსტო ინდექსი	**0179**
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.rschuman-europeanschool.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	robertschuman2011@gmail.com ani_zet@yahoo.de modzgvari2005@mail.ru

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	stcolex@yahoo.fr ecolexgeo@gmail.com 57marika@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+99532) 2 223 123
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ხათუნა კერესელიძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599944844
ელ-ფოსტა	modzgvari2005@mail.ru
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მარინე ანდრონიკაშვილი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599196053
ელ-ფოსტა	ani_zet@yahoo.de
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**იზოლდა ჯინჯიხაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599566785
ელ-ფოსტა	ecolexgeo@gmail.com; stcolex@yahoo.fr
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მარიამ გიორგაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599776749
ელ-ფოსტა	57marika@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 29 მარტის MES 7 22 0000320454 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27, 28 და 29 აპრილი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მიხეილ ტეფნაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	ეკატერინე ვეკუა
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები,	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	ფორმალური განათლების პარალელურად, შპს ,,რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“, მრავალფეროვან, საინტერესო და ინტერესებზე მორგებულ არაფორმალურ განათლებას სთავაზობს მოსწავლეებს, რომლის მიზანია - მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება, ინდივიდუალური და ესთეტიკური მიდრეკილებების გამოვლენა, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარება, პრაქტიკული გამოცდილება და ა.შ. გარდა ამისა, სასწავლებელი ახორციელებს გაცვლით პროგრამებს, რომელთა ფარგლებშიც იგეგმება ერთობლივი, შინაარსობრივად დატვირთული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტივობები. კერძოდ, პროგრამის "მარი ბროსე" ფარგლებში (პარტნიორები: ქ. ნანტის მერია, ლუარისა და ატლანტიკის ეროვნული განათლების უწყებრივი სერვისების დირექტორატი, ასოციაცია ,,აჟირი აბცდ'', საფრანგეთის დისტანციური განათლების ეროვნული ცენტრი), ხორციელდება სკოლის მოსწავლეების სტაჟირების პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ისწავლონ საფრანგეთის ლიცეუმებსა და კოლეჯებში. დისტანციური განათლების ეროვნული ცენტრის დახმარებით, მოსწავლეები ეუფლებიან ფრანგულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და იღებენ საფრანგეთის დისტანციური განათლების ეროვნული ცენტრის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. პროგრამა "a-z“ - 2013 წლიდან ავსტრიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაცვლითი პროგრამა ხორციელდება ქ. ზალცბურგის ევროპულ გიმნაზიასთან (Europagymnasium Salzburg-Nonntal). ავსტრიელი მოსწავლეები ყოველწლიურად სტუმრობენ საქართველოს. საპასუხო ვიზიტს ახორციელებენ „ანი-Zet“-ის მოსწავლეებიც. ყურადღებას იმსახურებს სკოლის აკადემიური გუნდი ,,ანი-Zet” და ვაჟთა ფოლკლორული გუნდი, რომლებიც სისტემატურად, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში. პროგრამა „ექვთიმე თაყაიშვილი“ - სასწავლებელში ფუნქციონირებს, როგორც სტანდარტული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (ყოფილი N57 საჯარო სკოლა) და წარმოდგენილია ორი კლასით (მე-11 და მე-12). საკმაოდ წარმატებული საჯარო სკოლა დღესაც ინარჩუნებს რეიტინგს, როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებით, ასევე, რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის კვალიფიციური მასწავლებელთა გუნდით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლებლის ცხოვრებაში. მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტებში თუ სპორტულ ღონისძიებებში. პროგრამის ,,მოძღვარი“ - პარტნიორია გერმანიის ქ. ვუპერტალის „Gymnasium Bayreuther Straße“ გიმნაზია. თანამშრომლობა გამოიხატება გაცვლითი პროგრამებითა და ერთობლივად განხორციელებული პროექტებით. მაგალითად, მოსწავლეებმა დაგეგმეს და ჩაატარეს პროექტი, სახელწოდებით, დედამიწა: მეტი ვიდრე თავშესაფარი (“Earth: More than a shelter”) - გერმანელმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ქართველმა მოსწავლეებმა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ხეები, რომელთა შორის ერთ-ერთ ხეს სამახსოვროდ უწოდეს - "ჩვენი მეგობრობის სახელი." ერთობლივი პროექტის - „სწავლა და ტექნოლოგიები“ („Using technology for study“) გამარჯვებული, სწორედ პროგრამის ,,მოძღვარი“ მოსწავლე გახდა. 2018 წელს, <u>პროგრამას ,,სენტ-ეგზიუპერი“</u> საფრანგეთის რესპუბლიკის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დადგენილების თანახმად, მიენიჭა ფრანგული ენის სწავლების მაღალი ხარისხის ნიშანი (“LabelfrancEducation”), ბილინგვური სექციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, რაც პირველი პრეცენდენტია საქართველოში. ფრანგული ენის ცოდნის გაღრმავებისა და მისი ავთენტურ სიტუაციაში გამოყენების მიზნით, სკოლამ განახორციელა ქ. ანგულემის სენ-შავანჟის ლიცეუმთან გაცვლით პროგრამაში მოსწავლეთა ჩართვა და მონაწილეობა. შედგა სამუშაო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში და დაიგეგმა სამომავლო პროექტებიც. სასწავლებლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დიდი წილი სოციალური პროექტების განხორციელებას ეთმობა და მასში, ხუთივე პროგრამის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. მოსწავლეთა ამგვარი ერთობა გარდა იმისა, რომ დაგეგმილ აქტივობებს საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის, ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას, უყალიბებს მოსწავლეებს საერთო ინტერესებს, ღირებულებებსა და განწყობას, განსაზღვრავს მათ სოციალურ ქცევას.

დაწესებულების მისია	სასწავლებელი ატარებს გაერთიანებული ევროპის ერთ-ერთი დამფუძნებლის რობერ შუმანის სახელს, შესაბამისად, მან თავისი სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამებით, მართვის ხასიათით, ენობრივი მრავალფეროვნებით, საუკეთესო ქართული და ევროპული ტრადიციების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყოს ქართული სასწავლებლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, სასწავლებელი მიზნად ისახავს, მოამზადოს ქართველი ახალგაზრდები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისათვის. სასწავლებელი უზრუნველყოფს: • სწავლების მაღალ ხარისხს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ეროვნული თვითშეგნების და ევროპული იდენტურობის მოქალაქის აღზრდას; • მოზარდის ინტელექტუალურ, სოციალურ და კულტურულ ჩამოყალიბებასა და მისი კრეატიული პოტენციალის გამოვლენაგანვითარებას; • ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას; • ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სტანდარტისა და სტანდარტზევით შემუშავებული ზოგად-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამების განხორციელებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1600**	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	„შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის (შემდგომში - სკოლა/სასწავლებელი/დაწესებულება) დირექტორატის 2021 წლის 7 სექტემბრის N01/59 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ხუთი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ესენია: 1. საგანმანათლებლო პროგრამა „ექვთიმე თაყაიშვილი“; 2. საგანმანათლებლო პროგრამა „ანი-Z”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. საგანმანათლებლო პროგრამა „მოძღვარი“; 4. საგანმანათლებლო პროგრამა „მარი ბროსე“; 5. საგანმანათლებლო პროგრამა „სენტ ეგზიუპერი“. აღნიშნული პროგრამებიდან საგანმანათლებლო პროგრამა „ექვთიმე თაყაიშვილის“ სასწავლო პროცესი ხორციელდება XI-XII კლასებში, რომელშიც ჩართულები არიან ყოფილი 57-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. დანარჩენი ოთხი პროგრამა კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ყველა კლასში (I-XII) ახორციელებს სასწავლო პროცესს. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. სასწავლებლის მისია; 2. სასწავლო წლის კალენდარი; 3. დღის რეჟიმი; 4. დისტანციური სწავლების ორგანიზების გეგმა; 5. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; 6. სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა; 7. სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; 8. საგნობრივი კათედრები; 9. ინკლუზიური განათლება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის; 10. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილების შინაარსის მიხედვით, ყველა ზემოჩამოთვლილი პროგრამა ემსახურება დაწესებულების მისიის შესრულებას. ხუთივე პროგრამისათვის საერთოა სასწავლო წლის კალენდარი, მოსწავლის აკადემიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღწევის შეფასების წესები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, საგნობრივი კათედრები, სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით, ინკლუზიური განათლება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის. განსხვავებულია დღის რეჟიმი, დისტანციური სწავლების ორგანიზების ფორმა, სასკოლო საათობრივი ბადე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებების (შემდგომში ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნები, შეესაბამება მათ და ხელს შეუწყობს სასწავლებლის მისიის მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 7 სექტემბრის N01/59 ბრძანება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლებლის დირექტორატის განმარტებით, დაწესებულება ორიენტირებულია დაიცვას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პრინციპები, სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომები და შექმნას მოსწავლეებისთვის მიმზიდველი საინტერესო საგანმანათლებლო გარემო. რისთვისაც დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილების შინაარსი შემდეგია: • დღის რეჟიმის მიხედვით პროგრამები სასწავლო დღეს სხვადასხვა დროს იწყებენ. შესაბამისად, სხვადასხვაა გაკვეთილებს შორის დასვენებების პერიოდიც. დაწესებულების ადმინისტრაციის თქმით, აღნიშნული ემსახურება პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვასა და სკოლის მოსწავლეების ნაკადების მართვას. გაკვეთილებს შორის მოსწავლეებს ეძლევათ დასვენებისა და კვების შესაძლებლობა. • სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით სკოლა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო, სავალდებულო არჩევით და დამატებით სავალდებულო საგნებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სტატუსით ისწავლება. კერძოდ: **საგანმანათლებლო პროგრამა „მოძღვარი“:** ფეხბურთი - I-IV კლასებში (ბიჭებისთვის); ბალეტი - I-IV კლასებში (გოგონები); ცეკვა - I-IV კლასებში; ხატვა - I-V კლასებში; რუსული ენა - II-IV კლასებში; უცხოური ენა (ფრანგული/გერმანული) – V-IX კლასები. **საგანმანათლებლო პროგრამა „მარი ბროსე“:** ფრანგული ენა - I-IV კლასებში; ფრანგული ლიტერატურა - V-XII კლასებში; მათემატიკა ფრანგულად - VII-XII კლასებში; ისტორია-გეოგრაფია ფრანგულად - X-XII კლასებში; ბიოლოგია ფრანგულად - X-XII კლასებში; ჭადრაკი - II-VI კლასებში; რუსული ენა - V-IX კლასებში. **საგანმანათლებლო პროგრამა „სენტ-ეგზიუპერი“:** ფრანგული ენა - I-IV კლასებში; ფრანგული ლიტერატურა - V-XI კლასებში; ბიოლოგია ფრანგულად - VIII-X კლასებში; ისტორია-გეოგრაფია ფრანგულად - VII-IX კლასებში; თეატრალური თამაშები - I-IV კლასებში; ჭადრაკი - II-III კლასებში; იტალიური ენა - VIII-XI კლასებში; რუსული ენა - V-IX კლასებში. **საგანმანათლებლო პროგრამა „ანი-Z”:** გერმანული ენა - - IV კლასებში, რუსული ენა - V-IX კლასებში, ცეკვა I-VI კლასებში. სასწავლებლის საათობრივი ბადე საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) 2021 წლის 15 სექტემბერისა (MES 4 21 0000922706) და 2021 წლის 11 ნოემბრის (MES 4 21 0001238958) წერილების მიხედვით შეთანხმებულია სამინისტროსთან. • სასკოლო საათობრივი ბადით დადგენილი საგნების სწავლებისას გამოიყენება გრიფირებული და ალტერნატიული სახელმძღვანელოები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 16 სექტემბრის (MES 5 21 0000931400) წერილის მიხედვით სასწავლებელს ალტერნატიული სახელმძღვანელოების გამოყენება შეთანხმებული აქვს სამინისტროსთან. • ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტის დაფარვის მიზნით, სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული საგნების სწავლებისათვის, გრიფირებული და ალტერნატიული სახელმძღვანელოებისა და სხვადასხვა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებით დაწესებულების მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ე.წ. თემატური გეგმები და თემის შესწავლის მატრიცები. სკოლა მოსწავლეების სწავლებისა და შეფასებისას ითვალისწინებს ახალი სკოლის მოდელის საგანმანათლებლო პრინციპებს. სასწავლებლის ცალკეული პროგრამების მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას. მოსწავლეების მშობლები გასაუბრებისას ხაზგასმით აღნიშნავენ სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერ მხარეებსა და ნდობას უცხადებენ დაწესებულებაში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესს. დაწესებულების მასწავლებლები აღწერენ სწავლებასთან დაკავშირებულ განხორციელებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობასა და მათში მოსწავლეთან აქტიური ჩართულობის მაგალითებს. საუბრობენ სწავლა-სწავლების ინტერაქტიულ მიდგომებზე. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედეგების მიღწევის პრინციპებზე. აკეთებენ აქცენტებს მოსწავლეების საჭიროებებსა და მათი გადაჭრის აუცილებლობაზე. სკოლის შენობაში ვხვდებით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესისათვის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებსა და მოსწავლეების ნამუშევრებს, რომელთა ნიმუშებიც იცვლება კლასის ასაკობრივი თავისებურებებისა და შინაარსის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმდინარეობს აქტიური სასწავლო პროცესი. აღწერილიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 7 სექტემბრის N01/59 ბრძანება; • სასწავლებლის საათობრივი ბადე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 15 სექტემბერის MES 4 21 0000922706 წერილი; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 11 ნოემბრის MES 4 21 0001238958 წერილი; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 16 სექტემბრის MES 5 21 0000931400 წერილი; • ე.წ. თემატური გეგმები და თემის მატრიცები; • სასწავლებლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სასწავლებლის დირექტორატთან გასაუბრება; • სასწავლებლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ე.წ. თემატური გეგმებსა მატრიცებში გამოყენებული აქტივობების მეთოდიკის, ჯგუფის ორგანიზებისა, თუ შეფასების კომპონენტები ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრინციპებს. მოსწავლეების შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის განსავითარებელ მხარეებზე მუშაობის პროცესი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს მოსწავლების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს დოკუმენტი. შემუშავებულია „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ საგანმანათლებლო პროგრამა „მოძღვარის“ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორის 2021 წლის 23 აპრილის N01/11 ბრძანება. ვიზიტის პერიოდში სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა „მოძღვარის“ ფარგლებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე მოსწავლისათვის. შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის მიერ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ 2022 წლის N04-30 წერილზე თანდართულ დოკუმენტაციას 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილად თან ახლავს აღნიშნული მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლსაც აწერია მოსწავლის სახელი და გვარი. ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტებმა, დაწესებულებას მისცეს რჩევა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა, რომელიც მისი საჭიროების იდენტიფიცირებას მოახდენს. სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები გასაუბრების პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სასწავლებლის ცალკეული პროგრამების ერთ-ერთი ძლიერი მხარე მოსწავლეებისთვის მხარდაჭერაა სწავლის პროცესში. გარდა მხარდაჭერისა, საკლასო თუ დისტანციური სწავლების პროცესში ჩატარებული საინტერესო გაკვეთილები, მათ კიდევ უფრო მეტად ეხმარებათ სწავლაში. მოსწავლეების მშობლები საუბრობენ, რომ მათი შვილები არიან ისეთ გარემოში, სადაც აქვთ მასწავლებლების დახმარების იმედი და უკვე წლებია ნდობას უცხადებენ მათ. სკოლის მასწავლებლები აქტიურად საუბრობენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწვალების პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი, განხორციელებული და შეფასებული სხვადასხვა სასწავლო აქტივობის შესახებ. მათი აღწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლაში აქტიურად იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები. წარმოდგენული დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 7 სექტემბრის N01/59 ბრძანება; • „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო პროგრამა „მოძღვარის“ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორის 2021 წლის 23 აპრილის N01/11 ბრძანება; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; • ე.წ. თემატური გეგმები და თემის მატრიცები; • მასწავლებლების ელექტრონული პორტფოლიოები; • სასწავლებლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულება შეფასების მიზანად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სასწავლებელი იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპს, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V (მეორე სემესტრიდან) - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები დასდება ათქულიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, გაცდენილი დავალების აღდგენის წესი. პედაგოგები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში დაგეგმილი და განხორციელებულია სულ მცირე ერთი კომპლექსური დავალება მაინც. მასწავლებლები შემაჯამებელი დავალებებში მოსწავლეების მიერ მიღებულ შეფასებებს ასახავენ სპეციალურ ფორმაში, სადაც მოცემულია თითოეული მოსწავლის შეფასება ქულებში, დიაგრამებში და შესაბამისი კომენტარი - მასწავლებლის ანალიზი კლასის მიერ შედეგის/შედეგების მიღწევის შესახებ; ანალიზზე დაყრდნობით, მუშავდება ცალკეული მოსწავლის ან მთელი კლასის მიერ საგნობრივი სტანდარტის კონკრეტული შედეგის მიღწევაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისათვის გადასადგმელი ნაბიჯები. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. გასაუბრებისას მოსწავლეები აღწერენ შეფასების კრიტერიუმების განხილვაში მათი ჩართულობის მაგალითებს. ამბობენ, რომ იციან რაში და როგორ ფასდებიან. ერკვევიან შეფასების რუბრიკის ქულათა ჯამის (იმ შემთხვევაში თუ 10 ქულაზე მეტია) ათქულიან სისტემასთან კონვერტაციის წესში. საუბრობენ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად ჩატარებულ კონსულტაციებზე კონკრეტული საკითხის ვერ გაგების შემთხვევაში. მასწავლებლები კი აღნიშნავენ მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების მიცემის მნიშვნელობასა და მისი გავლენაზე მოტივაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზრდის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 7 სექტემბრის N01/59 ბრძანება; • კომპლექსური დავალებების ბარათები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები; • მასწავლებლების ელექტრონული პორტფოლიოები; • სასწავლებლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	„შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობლებთან ურთიერთობის შესახებ (ჩართულობა) დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2020 წლის 25 დეკემბრის N53 ბრძანება მიზნად ისახავს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციას, მშობელთა დროულ ინფორმირებას სასწავლებლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და შეფასების თაობაზე, მშობლების დროულ ინფორმირებას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და მის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში; სასწავლებლის მიმართ მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბების, სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებისა და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას. დაწესებულების პერსონალი მშობლებთან ურთიერთობისათვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, დისტანციურ პლატფორმებსა და სკოლაში ინდივიდუალურ შეხვედრებს. სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ. გვერდზე ვხვდებით სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ განთავსებულ ანონსებსა თუ ჩატარების ანგარიშებს. სასკოლო აქტივობებში ჩართულობისა და მოსწავლის ქცევისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მაგალითებს გასაუბრებისას ადასტურებენ მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობლებთან ურთიერთობის შესახებ (ჩართულობა) დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2020 წლის 25 დეკემბრის N53 ბრძანება; • სასწავლებლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სასწავლებლის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრება; • სასწავლებლის ვებ. გვერდის დათვალიერება; • სასწავლებლის სოციალური ქსელის დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის ხარისხზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაზეც დაწესებულებაში შემუშავებული დოკუმენტები და ჩატარებული გასაუბრების შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებული ინფორმაცია მეტყველებს. „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2022-2028 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 07 სექტემბრის N01/55 ბრძანების მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზრუნვით გაუმჯობესების აქტივობები. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე შემუშავებულია „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 07 სექტემბრის N01/56 ბრძანება, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველთვიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზრუნვით გაუმჯობესების აქტივობები. აღნიშნული აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად შემუშავებულია „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2021 წლის 27 დეკემბერის N1/118 ბრძანების მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე ციკლზე, რომელიც ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, ადამიანური რესურსების შეფასებას საქართველოს კანონმდებლობასა და სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესთან მიმართებაში, მათი პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შეფასებას სასწავლო პროცესთან და მის განვითარებას საგანმანათლებლო მიზნებთან მიმართებაში. „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2022 წლის 17 იანვრის N01/2 ბრძანებით განსაზღვრულია მასწავლებელთა საჭიროებების დადგენისა და მასზე რეაგირების აქტივობები. სასწავლებლის მასწავლებლები გასაუბრებისას ასახელებენ პროფესიული განვითარების ჯგუფურ აქტივობებს (ტრენინგებს (მაგ. ე.წ. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში) და აღწერენ ურთიერთთანამშრომლობის შემთხვევებსა და მათ მიზნობრიობებს. სკოლის ცალკეულ პროგრამებს შემუშავებული აქვთ გამოკითხვის ფორმები. სასწავლებლის ადმინისტრაციის განმარტებით კითხვარებიდან მიღებულ ინფორმაციასაც აქტიურად იყენებენ შემდეგი პრევენციული აქტივობების დასაგეგმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2021 წლის 27 დეკემბერის N1/118 ბრძანება; • „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორატის 2022 წლის 17 იანვრის N01/2 ბრძანება; • „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2022-2028 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 07 სექტემბრის N01/55 ბრძანება; • „შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „რობერ შუმანის სახელობის სასწავლებლის დირექტორატის 2021 წლის 07 სექტემბრის N01/56 ბრძანება; • გამოკითხვის ფორმები; • სასწავლებლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასწავლებლის მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ მდებარეობს ქალაქ თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N42. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით: შენობა ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 5056 კვ.მ და ასევე შენობა N2, N3, N4, N5, N6, N7 და N8 განთავსებულია 4396.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის 26 ივნისით დათარიღებული შენობა-ნაგებობის ახალი შიდა აზომვითი ნახაზი, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების საერთო ფართია 6424.35 კვ.მ. სკოლის განმარტებით, მართალია, მათ განაახლეს შიდა აზომვითი ნახაზები, მაგრამ ჯერ არ წარუდგენიათ საჯარო რეესტრში. სკოლის დამფუძნებელი პარტნიორები არიან: შპს „სენტ-ეგზიუპერის ფრანგულ-ქართული სკოლა“, შპს „ა-Z” (ანი-ცეტი), შპს „მარი ბროსეს სკოლა“ და შპს „საერო სკოლა-ლიცეუმი მოძღვარი“.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ.N42
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 01.14.11.016.013;
კვ.მ.	4396.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882019504672 - მიწის საკადასტრო კოდი N 01.14.11.016.013; • ნასყიდობის ხელშეკრულება; • წესდება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს “რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში“ არის 84 საკლასო ოთახი, 7 განაყოფის ოთახი, გარდა ამისა, არის კაბინეტები: დირექტორატის 1, კანცელარიის 1, ადმინისტრაციის 4, ექიმის 1,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბუღალტერიის 1, ფსიქოლოგის 1, 4 სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა ოთხი საცავით, რესურსოთახი და PRE-SCHOOL ოთახი. ასევე, არის სახელოვნებო დანიშნულების (სახვითი ხელოვნების 2, თეატრის, მუსიკის და კინოს) ოთახები. აგრეთვე სააქტო დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, დიდი და მცირე დახურული სპორტდარბაზი. სკოლას აქვს 3 მცირე დარბაზი, სადაც ტარდება ცეკვის და ბალეტის გაკვეთილები. სკოლის საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, ასევე, არის მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფები, კარადები და სხვა საჭირო ინვენტარი. ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა თვალსაჩინოება, რუკები, პოსტერები, მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლას მერხებისა და სკამების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 1600-ზე მეტი ინდივიდუალური მერხი და სკამი, 97 დაფა, 4 პროექტორი, 26 ტელევიზორი, პიანინოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასაქონლო ზედნადები; • ჩუქების ხელშეკრულება; • ნასყიდობის ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებლის“ ეზოში არის 362,5 კვ.მ კეთილმოწყობილი ხელოვნურსაფარიანი მოედანი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 277 კვ.მ სპორტული დარბაზი, ხოლო მეორე სართულზე შედარებით მცირე სპორტული დარბაზი. სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლას აქვს: ფეხბურთის, ხელბურთის ბურთები, შვედური კედელი, კალათბურთის ფარები, ჭადრაკის დაფები და სხვა. გარდა ამისა, სკოლაში არის 3 მცირე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დარბაზი, რომელიც გამოიყენება როგორც სპორტის გაკვეთილებისათვის ასევე ცეკვის, ბალეტის და სხვადასხვა აქტივობებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებულ რეკომენდაციების“ შესაბამისია. იგი აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიისათვის საჭირო მაგიდებით, გამწოვით და სხვა ინვენტარით. ლაბორატორიაში განთავსებულია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის ორი კომპლექტი, რომელიც საჭიროებისამებრ ივსება შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. დაწესებულებას აქვს სკოლის დირექტორატის მიერ დამტკიცებული ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ჩუქების ხელშეკრულება; • სასაქონლო ზედნადებით; • ლაბორატორიის გამოყენების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. გარდა ამისა, სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო - გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულებას ავტონომიური ელექტროენერგიით. სკოლის საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლის შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, რომლებიც მოწესრიგებულია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნით და ქაღალდის ხელსახოცებით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები როგორც ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ასევე პერსონალისათვის და, მათ შორის, 1 ადაპტირებულია. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საგადასახადო დავალება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს“ აქვს 1 საერთო ბიბლიოთეკა სამკითხველო სივრცით და საცავით, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე, ასევე აქვს სამი დამოუკიდებელი საცავი. სკოლის პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთარი ბიბლიოთეკები აქვს სენტ-ეგზიუპერის (ფრანგული სახელმძღვანელოები და ლიტერატურა), ანი-Zet-ის (გერმანული სახელმძღვანელოები და ლიტერატურა), მარი ბროსეს (ფრანგული სახელმძღვანელოები და ლიტერატურა) და მოძღვრის (ინგლისური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახელმძღვანელოები და ლიტერატურა) სექტორებს. სკოლის საერთო ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული ყველა კლასის სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა. წიგნები ბიბლიოთეკაში დახარისხებულია ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 10000-ზე მეტი ერთეულს. ბიბლიოთეკის ფონდში ასევე არის ჟურნალები, გაზეთები, კომპაქტური დისკები და აფიშები. დაწესებულება შეისყიდის ჟურნალების National Geographic-ის, „ისტორიანის“ და „მხიარული კარუსელის“ პერიოდულ გამოცემებს. ჯამში 8 კომპიუტერი ყველა საცავში. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის წიგნების ელექტრონული კატალოგი OPEN BIBLIO. სკოლის მიერ შემუშავებულია ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით. ჯამში ყველა საცავში არის 8 კომპიუტერი. ბიბლიოთეკარი ქმნის კითხვისა და წიგნით დაინტერესების ატმოსფეროს, ეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე, მასწავლებლებს მასალის მოძიებასა და პროექტების განხორციელებაში. სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ბიბლიოთეკარი ანიმაციებით („აღმოაჩინე ბიბლიოთეკა“) აცნობს ბიბლიოთეკის დანიშნულებას. ასევე, საბიბლიოთეკო სივრცეში სასწავლო წლის მანძილზე ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. სკოლას ჰყავს 1 ბიბლიოთეკარი და 3 ბიბლიოთეკარის ასისტენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • ვიზუალური დათვალიერება; • ელექტრონული კატალოგი OPEN BIBLIO; • ინტერვიურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო შენობის სართულებზე გადასაადგილებლად მოძრავი პანდუსები. ასევე, მეორე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 23 კომპიუტერი. დაწესებულების სხვადასხვა კაბინეტში, დირექტორატის, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებში, კანცელარიაში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიაში, ექიმის კაბინეტში, ასევე, არის 30 კომპიუტერი და 48 ნოუთბუქი. საერთო ჯამში, სკოლის მფლობელობაშია 101 კომპიუტერი, აქედან 53 პერსონალურია, ხოლო 48 ნოუთბუქია. ამის გარდა, სკოლას აქვს 4 პროექტორი, 26 ტელევიზორი, პრინტერები და ქსეროქსის აპარატები. დაწესებულებას ხელშეკრულება ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს კომპანია ს.ს. „სილქნეტთან“. სასწავლებელი იყენებს ელექტრონული ჟურნალებს schoolbook.ge და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	https://www.tvschool.ge. სკოლის ვებგვერდია www.rschuman-europeanschool.edu.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: ისტორია, მისია, სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესი, სასწავლო წლის კალენდარი, მიღების წესი და საკონტაქტო ინფორმაცია. მთავარი გვერდიდან შესაძლებელია თოთოეული პროგრამის ვებგვერდზე გადასვლა, სენტ-ეგზუპერი - http://ecolexupery.ge; მარი ბროსე - http://mariebrosset.edu.ge; მოძღვარი – http://modzgvari.edu.ge; ანი-Zet – http://ani-zet. ამ ვებგვერდებზე დეტალურად არის ასახული თითოეული პროგრამის სიახლეები, წარმოდგენილია ფოტოგალერეა და შესაძლებელია შესაბამისი პროგრამების ფეისბუკ გვერდზე გადასვლა. სკოლის ვებგვერდს, ფეისბუკ გვერდებსა და ელექტრონულ ფოსტას აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპიუტერების შეძენის დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით, სკოლა ზრუნავს სასწავლო გემით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აღჭურვასა და განახლებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადასახადო დავალებები; • კომპიუტერების შეძენის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება; • ჩუქების და მომსახურების ხელშეკრულებები; • სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდები; • სასწავლებლის ვებგვერდი: www.rschuman-europeanschool.edu.ge.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში“ დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით (33 ერთეული), რომელიც დამუხტულია და გამოყენებისათვის ვარგისია. შენობის ყველა სართულზე, განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმები. დერეფნებში გამოკრულია გასასვლელის მიმანიშნებელი ისრები. შენობის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა და, ასევე, შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის” საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • სასაქონლო მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება; • საგადასახადო დავალება; • სასაქონლო ზედნადები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 14,85 კვ.მ სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც აქვს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში არის ონკანი ნიჟარით რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის ერთჯერადი გასამშრალებელი საშუალებით. კაბინეტში არის შემდეგი სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სამედიცინო ტახტი, 1 ნოუთბუქი, კარადა, მაცივარი, საკაცე და ტიხრული შირმა. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს 2 ექიმი, რომელიც აწარმოებენ სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას, აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს; პერიოდულად მონიტორინგს უწევს კლასში მოსწავლეთა ჰიგიენურ მდგომარეობას, გეგმავს და ატარებს პირადი ჰიგიენის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და აქტივობებს. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორატის მიერ დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საშტატო განრიგი; • სკოლის დებულება; • სასაქონლო ზედნადები; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 5 დაცვის თანამშრომელი. რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას ასევე უზრუნველყოფენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღმზრდელები/კლასის დამრიგებლები. სკოლა ხელმძღვანელობს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად. აღნიშნული წესი შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • საშტატო განრიგი; • ვიზუალური დათვალიერება; • განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი კორესპონდენცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიგნით დამონტაჟებულია 19 კამერა, რომლითაც კონტროლდება დერეფნები და კიბის უჯრედები, ხოლო გარე პერიმეტრს აკონტროლებს 9 ვიდეოკამერა. სულ სკოლის ფლობს 28 ვიდეოკამერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს“ შემუშავებული აქვს წესდება, დებულება და შინაგანაწესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **სკოლის წესდება** დამტკიცებულია პარტნიორთა კრების მიერ და დამოწმებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 22 ივლისს. **სკოლის დებულება** დამტკიცებულია შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2021 წლის 10 სექტემბრის N01/69 ბრძანებით. დებულებით რეგულირდება და განისაზღვრება სასწავლებლის საშტატო განრიგის მიხედვით განსზღვრული ყველა თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობები. **სკოლის შინაგანაწესი** დამტკიცებულია შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის მიერ 2021 წლის 6 სექტემბრის N01/53 ბრძანებით. შინაგანაწესის მიზანია სასწავლებლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, მისი მისიის შესრულება და სასწავლებელში უსაფრთხო გარემოს შექმნა; სასწავლებელში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი; სასწავლებელში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება. **შინაგანაწესი განსაზღვრავს:** სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; შრომის პირობების დაცვის წესებს; დასაქმებულთა და მოსწავლეთა ჩაცმულობის წესს; შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და პირობებს; შვებულების ხანგრძლივობას; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას და საბოლოო ანგარიშსწორებას; წახალისების ფორმებს; დისციპლინური წარმოების წესებს და სახეებს; განცხადების/საჩივრის განხილვის წესს; მოსწავლის სასწავლებელში ჩარიცხვისა და სასწავლებლიდან გადაყვანის პირობებს. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა **შინაგანაწესის** IV თავის, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსწავლეთა იერსახეს, კერძოდ, „ ... დაუშვებელია ისეთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტანისამოსის და ვარცხნილობის ტარება, რომელიც მიუღებელია სასწავლო დაწესებულებებში ...". სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და 2022 წლის 27 აპრილის N01/22 ბრძანებით შეიტანა შინაგანაწესში ცვლილება, რომლის მიხედვითაც „ ... 3. მოსწავლე სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით. ..."
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" წესდება; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" დებულება; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს" შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან (ოქმი N1 7.09.21). სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2022-2028 წლებს, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კი 2021-2022 სასწავლო წლის განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლამ, ასევე. წარმოადგინა 2016-2021 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის ანგარიში. 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის შემუშავებამდე SWOT ანალიზზე დაყრდნობით სკოლამ გამოავლინა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. ეს ეხება მატერიალურ რესურსებსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ძლიერ მხარეებად დაწესებულებამ მიიჩნია: • ახალი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია; • კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი და დარბაზი; • კომპიუტერული ლაბორატორია; • კეთილმოწყობილი დახურული შიდა ეზო; • სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა, თანამედროვე ინფრასტრუქტურით; • სკოლის მდებარეობა; • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; • უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო. სუსტ მხარეებად სკოლას მიაჩნია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის არარსებობა. სკოლას ექვსწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული მიზნებია: • სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; • ადამიანური რესურსის განვითარება; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; • უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; • მშობელთა ჩართულობა. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების გაუმჯობესება, უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. რაც გულისხმობს: კომპიუტერული რესურსების შეძენას და განახლებას; ინვენტარისა და სხვა მასალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეძენას; ბიბლიოთეკის ინვენტარის განახლებას; ლაბორატორიის განახლებას; ეზოს კეთილმოწყობას; სხვადასხვა სტუდიისა და სახელოსნოსთვის ოთახების მოწყობას; სპორტული დარბაზის გარემონტებას, რბილი იატაკის დაგებას; თანამედროვედ აღჭურვილი მედიაოთახის მოწყობას; ეზოს ტერიტორიაზე თანამედროვე დიზაინისა და სათანადო აღჭურვილობის ბუფეტის მოწყობას; ინკლუზიური სწავლებისათვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას; რესურსოთახის აღჭურვას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის მიერ, შემუშავებულია სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. წინამდებარე გეგმის შესრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში. გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, განხორციელების პერიოდს და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. ერთწლიან გეგმაში, ასევე, ასახულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და გაუმჯობესება. კერძოდ: საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა და განვითარება; ქართულენოვანი ვებ-გვერდის განახლება და ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნა; სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტებისა და ბანერების გამოცემა; ელექტრონული ჟურნალების წარმოება; სასწავლებლის კეთილმოწყობა; ეზოს გამწვანება; ახალი ინვენტარის შეძენა და არსებულის განახლება; სანიტარულ-ჰიგიენური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამედიცინო კაბინეტისათვის მედიკამენტების შეძენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ SWOT ანალიზი; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2022-2028 წლების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა; • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ 2021-20282 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დირექტორატის 2020 წლის 25 დეკემბრის N01/49 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის საქმისწარმოების ერთიანი წესი“. დაწესებულებაში იწარმოება შემოსული და გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის; საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ბეჭედდასმულია, ზონარგაყრილია, დალუქულია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორატის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის საქმისწარმოების ერთიანი წესი“; • შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო და საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მასწავლებელთათვის; • ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს,, ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. სასწავლებლის საშტატო განრიგი შემდეგ თანამდებობებს მოიცავს: **დირექცია** - დირექტორი (სულ - 4 პოზიცია) - ყველა პროგრამას ხელმძღვანელობს თითო დირექტორი, გარდა პროგრამა ,,ექვთიმე თაყაიშვილისა'', რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორატი ერთობლივად, დამფუძნებელ-კონსულტანტი (2 პოზიცია, ,,ანი-Zet,, და ,,მოძღვარი,,), ადმინისტრატორი (3 პოზიცია, ,,სენტ ეგზიუპერი,,, ,,მარი ბროსე,,), დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (3 პოზიცია - ,,ანი-Zet,,, ,,სენტ ეგზიუპერი,, და ,, მოძღვარი,,), დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში (3 პოზიცია - ,,ანი-Zet", ,,სენტ ეგზიუპერი,, და ,,მოძღვარი,,), დირექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში (1 პოზიცია, ,,მოძღვარი"), დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (1 პოზიცია, ,,სენტ ეგზიუპერი") - სულ 18 საშტატო ერთეული. ექსპერტების ყურადღება მიიქცია პოზიციამ - ,,დამფუძნებელ-კონსულტანტი", რომლის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში და ავალდებულებს დასაქმებულს: განახორციელოს სასწავლო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სააღმზრდელო პროცესის ანალიზი, სასწავლებლის დირექციას, ადმინისტრაციას და მასწავლებლებს შესთავაზოს ინოვაციური მიდგომები. კონსულტირება გაუწიოს დირექციას, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებით, შეისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის სხვადასხვა კონკრეტული ასპექტები, შეიმუშაოს წინადადებები და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები, დახმარება გაუწიოს დირექტორს სტრუქტურული და ფინანსური პრობლემების გაანალიზებაში და ა.შ. **პედაგოგიური პერსონალი და დამრიგებლები/აღმზრდელები** - საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი (სულ 6, საერთოა მთელი სკოლისთვის), 167 მასწავლებელი (საფუძველი - Eschool – ის პორტირებული მონაცემები, 27.04.2022წ.), დამრიგებელი/აღმზრდელი (კლასების რაოდენობის შესაბამისი). **ადმინისტრაცია** - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (2 პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის), უცხოური ენებისა და უცხოეთთან ურთიერთობის კოორდინატორი (1 პოზიცია, ,,ანი-Zet“), პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე (2 პოზიცია, ,,ანი-Zet,, და ,,მოძღვარი,,), სკოლის ექიმი (2 პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის), ბუღალტერი (4 პოზიცია, ,,ანი-Zet“, ,,სენტ ეგზიუპერი,, ,,მარი ბროსე“ და ,,მოძღვარი,,), მთავარი ბუღალტერი (1 პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის), ბიბლიოთეკარი (1 პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის), ბიბლიოთეკარია ასისტენტი (3 პოზიცია, ,,ანი-Zet“, ,,სენტ ეგზიუპერი,, და ,,მოძღვარი,,), ფსიქოლოგი (2 პოზიცია, ,,ანი-Zet,, და ,,მოძღვარი,,), სსსმ მოსწავლის ასისტენტი - (1 პოზიცია), საქმისმწარმოებელი/საქმეთა მმართველი და სამეურნეო ნაწილის გამგე (თითო-თითო პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის), საინფორმაციო მენეჯერი/IT მენეჯერი (3 პოზიცია, ,,ანი-Zet“, ,,სენტ ეგზიუპერი,, და ,,მოძღვარი,,), რეჟისორი (2 პოზიცია, სენტ ეგზიუპერი“), სამხატვრო ხელმძღვანელი (2 პოზიცია, ,,ანი-Zet,, და ,,მოძღვარი,,), ხელოვნების სტუდიის ხელმძღვანელი (2 პოზიცია, ,,ანი-Zet“, ,,სენტ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეგზიუპერი,,), ხელოვნების სტუდიის კოორდინატორი და ინოვაციებისა და პროექტების ხელმძღვანელი/ოპერატორი (თითო-თითო პოზიცია, ,,სენტ ეგზიუპერი,,). **ტექნიკური და დამხმარე პერსონალი** - დამლაგებელი/დიასახლისი (10 პოზიცია, ყველასათვის საერთოა - 1, ,,სენტ ეგზიუპერი,, - 3, ,,მარი ბროსე,, - 1,, ანი-Zet,, - 3, ,,მოძღვარი,, - 2), დაცვა/დარაჯი - (5 პოზიცია), კვების ბლოკის ხელმძღვანელი (1 პოზიცია, ,,სენტ ეგზიუპერი"), მზარეული (4 პოზიცია, ,,ანი-Zet" (2), ,,სენტ ეგზიუპერი,, (2), მიმტანი (4 პოზიცია, ,,ანი-Zet,,), მუშა/ხელოსანი (1 პოზიცია, საერთოა ყველა პროგრამისთვის). ამჟამად ვაკანტურია მეეზოვის პოზიცია. აღსანიშნავია, რომ დირექტორს უფლება აქვს ერთპიროვნულად განახორციელოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მის დაქვემდებარებულ პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ექვთიმე თაყაიშვილის'' ფარგლებში დირექტორატი უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთობლივად. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას გამოითხოვეს სკოლის ექიმების (სულ 2) პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, ორივე ექიმი განათლების ნაწილში აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოიყენეს ექპერტებმა სკოლის ფსიქოლოგებთან (სულ 2, ,,ანი-Zet,, და ,,მოძღვარი,,) გასაუბრებისას. ძირითადი მიგნება, რომელიც ინტერვიუირებისას გამოიკვეთა იყო ის, რომ სკოლის ფსიქოლოგები თანაბრად მუშაობენ როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ასევე, მასწავლებლებთან და მათი მხარდაჭერა დადებითად აისახება პედაგოგების მუშაობაზე და განწყობაზე. საუბრისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით დიდი სამუშაო გასწიეს პანდემიის პირობებში - ტარდებოდა როგორც ჯგუფური, ისე, ინდივიდუალური სეანსები. ექსპერტები დაინტერესდნენ, რა სიხშირით მიმართავდნენ მოსწავლეები სკოლის ფსიქოლოგს. როგორც გაირკვა, მექანიზმი შემდეგია: კლასის დამრიგებლის ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება დაკავშირება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში (ან, მასთან ერთად), ტარდება ინდივიდუალური სეანსები. მოსწავლის მხრიდან სერვისით სარგებლობის სურვილის დროსაც, აუცილებელია მშობლის თანხმობა და როგორც სკოლის ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. საუბრისას გაირკვა, რომ გარდა მწვავე შემთხვევებზე რეაგირებისა, ისინი პრევენციული ხასიათის ღონისძიებებსაც უწევენ ორგანიზებას - ჯგუფური სეანსები ხშირად ონლაინ რეჟიმში იმართება, რაც კომუნიკაციის პროცესს ხელმისაწვდომს ხდის მონაწილეთათვის. საშტატო განრიგის განხილვის, სკოლის დებულების და სასწავლებლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მრავალფეროვანი საშტატო ერთეულებისა, მათი ფუნქციები მკაფიო და მიზანმიმართულია. ვიწრო სპეციალიზაცია და კონკრეტული სამუშაო მიმართულებები, სკოლაში მიმდინარე პროცესების ორგანიზებულად წარმართვას უწყობს ხელს, რაც აისახება დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ხარისხზეც. სტრუქტურული ერთეულების დებულებებიც (მათ შორის, ბიბლიოთეკის, საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს და სადამრიგებლო პროგრამა), მათ საქმიანობას დეტალურად განსაზღვრავს, რაც ანგარიშგების მიმართულებით მეტ სიზუსტეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განაპირობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • პორტირებული მონაცემები Eschool - ის ბაზიდან (27.04.2022წ.); • შპს ,,რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის სტრუქტურა“ - სქემატური გამოსახულება; • სკოლის დებულება (2021წ,); • სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • შრომითი ხელშეკრულებები; • შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალი; • გასაუბრება სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	167
მოწვეული/მაძიებელი	34/7
პრაქტიკოსი მასწავლებლი	14
უფროსი მასწავლებლი	105
წამყვანი მასწავლებლი	6
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს პირად მონაცემებს (CV), განათლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სტატუსის შესაბამის სერტიფიკატებს (არსებობის შემთხვევაში), ცნობებს ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • პორტირებული მონაცემები Eschool - ის ბაზიდან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს სკოლის მიერ შედგენილი ორი დოკუმენტი არეგულირებს. კერძოდ, შპს ,,რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ შინაგანაწესი და მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. შინაგანაწესის V თავი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და პირობებს, რომლის თანახმად, პედაგოგის, ადმინისტრაციის წევრის, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის სასწავლებელთან შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე. თითოეულ თანამშრომლისთვის, სასწავლებელში მისი მიღების მომენტიდან, იხსნება პირადი საქმე. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ითვალისწინებს შინაგანაწესის XIV მუხლი, სადაც მითითებულია გათავისუფლების საფუძვლები. თანამშრომელთა სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დირექტორი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ექვთიმე თაყაიშვილის'' ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლის შემთხვევაში - დირექტორატი. მოტივაციის ამაღლების მიზნით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, შინაგანაწესის XV მუხლით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები დეტალურია და მკაფიოდ არის განსაზღვრული დასაქმებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის, საქმის გარემოებების გამოკვლევის, დასაქმებულის დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული სახდელების ტიპების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მექანიზმები. რაც შეეხება მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესს, დოკუმენტში აღწერილია კონკურსის ჩატარების პროცედურები, მათ შორის, კანდიდატის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები (მაგალითად, განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას ვებ. გვერდზე http://teacherjobs.ge/ და დოკუმენტაციაც სრულყოფილად უნდა იყოს მოწოდებული). წესის თანახმად, თითოეული კონკურსის გამოცხადებისას შესაძლებელია ინდივიდუალურად განისაზღვროს სამუშაოს გამოცდილების ვადა და მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების ფორმა დოკუმენტის მე - 7 და მე - 8 მუხლით რეგულირდება. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია საპრეტენზიო კომისიასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ შინაგანაწესი; • მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ პროგრამების ფარგლებში თითოეულ დირექტორს ერთპიროვნულად შეუძლია შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება/შეწყვეტა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა გადაწყვეტილებების მიღება. მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები მინიჭებული სტატუსის მიხედვით არის გაფორმებული და უფლება-მოვალეობებიც სტატუსების შესაბამისია. მაძიებელი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირებს, ხელშეკრულებით აქვთ განსაზღვრული ვალდებულება - მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში, გაიარონ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა. მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულებით და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 9 საათს. დამატებით სავალდებულო საგნების მასწავლებლების შრომითი ურთიერთობებიც ხელშეკრულებებით რეგულირდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • შეთანხმება (სკოლის ფსიქოლოგის ხელშეკრულებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შესახებ).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2022 წლის 17 იანვრის N01/2 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. როგორც ირკვევა, დოკუმენტის ამოცანათა ნუსხაშია: ადამიანური რესურსების მართვა, სასწავლებლის მიზნებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება/გადამზადების მიზნით, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა და ა.შ. სასწავლო პროცესის კოორდინატორების და დირექტორის მოადგილეების მთავარი ფუნქცია, სწორედ დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჭიროებიდან გამომდინარე, კვალიფიციური კადრის ძიება და მათი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაა. დოკუმენტის მე -7 თავი ,,დასაქმებულთა პროფესიული განვითარება“ განსაზღვრავს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით, მათ ჩართვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში, დასაქმებულის თანხმობით, მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარების პირველი ეტაპი (მუხლი მე-9, ,,პროფესიული განვითარების ეტაპები“) სწორედ პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზს მოიცავს და შემდგომი ნაბიჯები, სწორედ აღნიშნულის საფუძველზე დგინდება. შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2020 წლის 25 ნოემბრის N01/39 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. დებულება არეგულირებს ხარისხის ჯგუფის მიზნებს (მე - 5 მუხლი), ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯგუფის წევრთა მოვალეობებს (მე - 6 მუხლი), ხარისხის ჯგუფის საქმიანობას (მე - 7 მუხლი). მასწავლებლის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია მე - 3 თავში და დეტალურად განსაზღვრავს პროცესთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სასწავლებელს წარმოდგენილი აქვს პროფესიული მხარდაჭერის გუნდის სამოქმედო გეგმა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში (I სემესტრი). მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლა სთავაზობს მათ სხვადასხვა შინაარსის, პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს (ტრენინგებს, სემინარებს და ა.შ). მასწავლებელთა პირადი საქმეები (სერტიფიკატები, ცნობები და ა შ.) ადასტურებენ შესაბამის აქტივობებში მონაწილეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. • შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის“ დირექტორატის 2020 წლის 25 ნოემბრის N01/39 ბრძანება და მისი დანართი - ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,,, • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • პროფესიული მხარდაჭერის გუნდის სამოქმედო გეგმა; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში (I სემესტრი); • ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვინაიდან, შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ აერთიანებს 5 სხვადასხვა პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელების (დირექტორების) რაოდენობა 4-ია, ექსპერტები დაინტერესდნენ, როგორი ურთიერთობებია, მაგალითად, სკოლის უმაღლეს მენეჯმენტს შორის და გარდა ამისა, ერთ შენობაში მათი გაერთიანება, გარკვეულ გამოწვევებთან ხომ არ არის დაკავშირებული. როგორც ინტერვიუირებისას გაირკვა, სკოლის დირექტორებს შორის საქმიანი, კონსტრუქციული და მიზანმიმართული კომუნიკაციაა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დირექტორატის კაბინეტი ერთ სივრცეშია (ოთახში) განლაგებული. გარდა ამისა, მათ საერთო პროგრამის (,,ექვთიმე თაყაიშვილი“) მართვაც უწევთ და შესაბამისად, ერთიანი, შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. ექსპერტების ყურადღების საგანი (შესაძლო) მობილობის პროცესიც (შპს - ს ფარგლებში, პროგრამიდან პროგრამაზე გადასვლა) გახდა. კერძოდ, როგორ რეგულირდებოდა მობილობის საკითხი. როგორც აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებით: მოსწავლის მობილობის ან ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში, სკოლის დირექტორატი იმდენად დეტალურად აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს პროგრამის სპეციფიკას, რომ იგი ძალიან კარგად არის ინფორმირებული იმ მიმართულებების შესახებ, რომელიც სასწავლო პროცესსა თუ სხვა აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვას განაპირობებს. სკოლაში არსებულ თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოზე საუბრობდნენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ერთობლივად დაგეგმილი ინტეგრირებული გაკვეთილები, ღონისძიებები და პროექტები, საშუალებას აძლევს მათი საქმიანობა სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული გახადონ. რაც შეეხება დაცულობის შეგრძნებას, ეს ხორციელდება როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობით (დაცული პერიმეტრი, დაცვის თანამშრომელი), ასევე, ფსიქოლოგიური მდგრადობით, რაზეც ინტენსიურად მუშაობენ შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადამიანები (კლასის დამრიგებლები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ა.შ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 06.05.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 54 (ორმოცდათოთხმეტი) გვერდი

54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.